# ხელშეკრულება № 5

ქ. ქობულეთი 10 თებერვალი 2015 წ.

## შესყიდვების შესახებ

ერთის მხრივ ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა, (მის: ქობულეთი აღმაშენებლის 267) მისი დირექტორის ზურაბ კახიძის სახით, შემდგომში " შემსყიდველი " და მეორეს მხრივ ი/მ "ვახტანგ მაკარაძე " (მის: ქობულეთი, რუსთაველის ქ. № 120) სახით, შემდგომში " მიმწოდებელი " დადეს ხელშეკრულება შემდეგზე:

### 1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლის ოფისის ხარჯიდან, კეტრიჯის 85A დატუმბვა, შესყიდვა და კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა-230 ლარი და სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის, შიდასასკოლო შეჯიბრების ხარჯიდან პრიზების და სიგელების შესყიდვა-2335 ლარი.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა მიაწოდოს „შემსყიდველს", კეტრიჯი 85A და კომპიუტერული ტექნიკა (კოდი CPV -30200000) და პრიზები და სიგელები(კოდი CPV -18500000, 22800000), ხოლო „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, საბიუჯეტო სახსრებით.

1.3. მთლიანი სახელშეკრულებლო თანხა შეადგენს 2565 (ორიათას ხუთას სამოცდახუთი) ლარს.

1.4. შესყიდვის ობიექტის სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფორმა № 3 –ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 2. საქონლის მიღება – ჩაბარება

2.1. "საქონელი" ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის და მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლის ბუღალტერი თამილა კონცელიძე.

2.3. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

### 3. ანგარისწორება

3.1 ანგარიშწორება მიმწოდებელთან ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმწოდებულ საქონელზე სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

### 4. სადაო საკითხების გადაწყვეტა

4.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

4.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

### 5. გამოყენებული სამართალი

5.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

### 6. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების

შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებულ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

## 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 8. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბის ჩათვლით.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან და ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

## 10. გადასახადები და ბაჟები

10.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა | ი/მ „ვახტანგ მაკარაძე " |
| ს/კ: 247007135 | ს/კ: 61004015142 |
| ა/ნ: **GE70LB0115112129252000** | ა/ნ: **GE70BG0000000179823000** |
| სს „ლიბერთი ბანკი„ | სს „საქართველოს ბანკი" |
| ბანკის კოდი: **LBRTGE22** | ბანკის კოდი: **BAGAGE22** |
| დირექტორი: /ზ. კახიძე / | ი/მეწარმე: /ვ. მაკარაძე/ |

ინფორმაცია

რაოდენობისა და ფასების შესახებ

ფორმა № 3

კატრიჯის შეძენა დატუმბვის ხარჯი

| № | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კეტრიჯის შეძენა -85A | ცალი | 2 | 45 | 90 ლარი |
| 2 | კეტრიჯის დატუმბვა-85A | ცალი | 4 | 15 | 60 ლარი |
| | სულ: | | | | 150 ლარი |

კომპიუტერული ტექნიკის ხარჯი

| № | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფაზი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | კომპიუტერის პროგრამირება | ცალი | 4 | 20 | 80 ლარი |
| | სულ: | | | | 80 ლარი |

სპორტული პრიზები და სიგელები

| № | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სიგელი | ცალი | 182 | 2 | 364 ლარი |
| 2 | თასი | ცალი | 51 | 25 | 1275 ლარი |
| 3 | თასი | ცალი | 4 | 34 | 136 ლარი |
| 4 | თასი | ცალი | 3 | 40 | 120 ლარი |
| 5 | ფასიანი საჩუქარი (საყოფაცხოვრებო დანისნულების ჩაის ნაკრები კომპლექტი 6 პერსონაზე, ჩაიდნით, შესაბამის შეფუთვაში) | ცალი | 11 | 440 | 440 ლარი |
| | სულ | | | | 2335 ლარი |

ი/მ “ვახტანგ მაკარაძე”-